ფანჯრის დახურვა X



# „კამელინი“ ბუნებრივი წარმოშობის ძლიერი იმუნომოდულატორია



***იმუნიტეტი ლათინური სიტყვიდან „immunis“ წარმოდგება და „დაავადებებისაგან გათავისუფლებას“ ნიშნავს, ანუ ორგანიზმის დამცველობითი მექანიზმის ჩართვას ნებისმიერი, მისთვის უცხო მიკროორგანიზმებისა და უჯრედების მიმართ,რომელთა „შეტევა“ ჯანმრთელ ორგანიზმზე ყოველდღიურად მიმდინარეობს. არსებობს პრეპარატები, რომლებიც აძლიერებენ იმუნური სისტემის მუშაობას და იცავენ ორგანიზმს მრავალი დაავადების განვითარებისგან. ასეთ პრეპარატებს იმუნომოდულატორები წარმოადგენენ. ერთ-ერთ მათგანს უნიკალური თვისებების, ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატი „კამელინი“ წარმოადგენს. გვესაუბრება კომპანია „კამელინის“ ბიზნესის განვითარების მენეჯერი, ფარმაცევტი, აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი ციცინო გაგნიძე:***

— იმუნიტეტი არის მუდმივი, მრავალსაფეხურიანი დაცვა ორგანიზმის გარე და შიგა არასასურველი ფაქტორების მოქმედებისაგან. მის დაქვეითებას იწვევს არახელსაყრელი პირობები, რაც გასათვალისწინებელია ყოველი ადამიანისათვის, მაგალითად, გადაციების, დამწვრობების, სისხლის დაკარგვის, ტრავმების, შიმშილობის დროს ირღვევა ორგანიზმის დამცავი ბარიერები და სისხლში მოძრავი ანტისხეულებისა და დაგროვილი შხამების ბალანსი, რაც დამოუპველად მოქმედებს ადამიანზე და იწვევს იმუნური სისტემის სრულ მოშლას. იმუნიტეტის ხანგრძლივი დაქვეითება იწვევს კიბოს უჯრედების განვითარების შანსს.

**— როგორ შეიძლება ავიცილოთ იმუნური სის-**

ბის შექმნა და მათი ეფექტურობის შესწავლა სხვადასხვა დაავადებების დროს, არამედ ვიკვლევთ სხვა პრეპარატის თვისებებსაც. ჩვენი ინსტიტუტის იმუნორეაბილიტაციის განყოფილებაში ვსწავლობთ ადამიანის იმუნურ სტატუსს სხვადასხვა პათოლოგიისას, ასევე ვიკვლევთ მავნე პირობებში მომუშავე ადამიანის იმუნურ სტატუსსაც, საინტერესოა საწარმოო ეკოლოგიის მოქმედება მათ იმუნიტეტზე. ჩვენი მიზანია, ასეთ პირობებში მოვახდინოთ მავნე ფაქტორების ნეიტრალიზაცია,ამისათვის გამოიყენება პრეპარატები, რომლებიც ახდენენ იმუნური სისტემის რეაბილიტაციას. ბატონმა ბესიკ იაშვილმა შემომთავაზა, შემესწავლა დამწვრობის მოქმედება იმუ-

**ტემის მუშაობის დაქვეითება?**

— ამისათვის გამოიყენება იმუნომოდულატორები,რომლებიც არეგულირებენ იმუნური სისტემის მუშაობას და იცავენ ორგანიზმს დაავადებებისგან. სწორედ ასეთი თვისებების მატარებელია პრეპარატი „კამელინი“, რომლის იმუნომოდულატორული მახასიათებლები სხვა მაჩვენებლებთან ერთად გამოვლინდა კვებეკის და ბერნის უნივერსიტეტების სამეცნიერო კვლევებით. „კამელინი“, როგორც იმუნომოდულატორი, შესაძლოა გამოვიყენოთ კომპლექსურ თერაპიაში ქრონიკული ინფექციების, სიმსივნური დაავადებების, იმუნოდეფიციტური მდგომარეობის, ალერგიული და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. „კამელინის“ იმუნომოდულატორული მოქმედების რთული მექანიზმი გამოიკვლიეს კანადასა და შვეიცარიაში. „კამელინი“ არის მაღალი ბიოლოგიური აქტივობის რამდენიმე ნაერთის ერთობლიობა. „კამელინით“ მკურნალობისას კიბოთი დაავადებული ვირთაგვების (საცდელი ჯგუფი) ორგანიზმში, იმ ვირთაგვებისგან განსხვავებით, რომლებიც არ იღებდნენ აღნიშნულ პრეპარატს (საკონტროლო ჯგუფი), მკვეთრად (თითქმის ათასი ერთეულით) მატულობდა კიბოს უჯრედების განადგურებაზე პასუხისმგებელი იმუნური ფაქტორების ხვედრითი წილი. „კამელინი“თავსებადია ყველა სამკურნალო საშუალებასთან, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა დაავადებების, განსაკუთრებით სიმსივნეების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის. განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო რომ, „კამელინის“ ბაზაზე დამზადებული პრეპარატები: „კამელინი M-1“ — ამპულები, „კამელინი M-2“- კაფსულები, „კამელინი M-3“ — მალამო და „კამელინი M-4“ — სანთლები არ იწვევენ არავითარ გვერდით მოვლენებს, მათი დიდი დოზით ხმარების შემთხვევაშიც კი, არ არიან ალერგიის გამომწვევები და გამოირჩევიან ნურ სისტემაზე და „კამელინის“ ეფექტურობა დამწვრობით გამოწვეულ პათოლოგიებზე იმუნური თვალსაზრისით. მე ჩავატარე აღნიშნული კვლევების შედეგების იმუნური ანალიზი (დინამიკაში: ავადმყოფის შემოსვლისას და მკურნალობის სხვადასხვა ეტაპებზე მათ გამოჯანმრთელებამდე). აღმოჩნდა, რომ დამწვრობა იწვევს ორგანიზმის ძლიერ იმუნოდეპრესიას, რომელიც კორელაციაშია (შესაბამისობაში) დამწვრობის ხარისხზე, სიღრმესა და გავრცელებაზე. მაგალითად, 30-50-პროცენტიანი დამწვრობა იწვევდა იმუნური პასუხის თითქმის სრულ ბლოკირებას. ასეთი დაქვეითებული იმუნიტეტი, როგორიც დამწვრობის დროს ვიხილე, სხვა დაავადებებისას არ მინახავს. ამ ფონზე „კამელინმა“ გამოავლინა დადებითი კლინიკური ეფექტი, უფრო სწრაფი გამოჯანმრთელების მხრივ, თანაც გამოიწვია იმუნური სისტემის ნორმალიზაცია. აღნიშნული კვლევების საფუძველზე ჩვენს ინსტიტუტს თამამად შეუძლია აღნიშნოს ამ პრეპარატის იმუნომამოდულირებელი თვისება. ჩვენ ვიცნობთ მრავალ პრეპარატს, რომლის ანოტაციაში ვიხილავთ იმუნოტროპულ თვისებებს, მაგრამ პრეპარატის ასეთი შეფასება უნდა ხდებოდეს ისე, როგორც „კამელინის“ შემთხვევაში. **„კამელინი“ ნამდვილად არის ძლიერი იმუნომოდულატორი, ანუ საუკეთესო საშუალება იმუნური სისტემის სრული რეაბილიტაციისა და გაძლიერების საქმეში, მითუმეტეს, დამწვრობით გამოწვეული პათოლოგიის დროს.**

**პაციენტი ნ.მ. (55წლის):** — 5 წლის წინ დაეწყო აუტანელი ტკივილები წვივის არეში, რამაც თანდათან სისტემატური ხასიათი მიიღო. პაციენტმა ხელის მოკიდებით შენიშნა კვერცხისოდენა მოძრავი სიმაგრე. ონკოლოგიურში დაუსვეს ფიბროსარკო-

უნივერსალური მოქმედების მექანიზმით როგორც ბაქტერიული, ვირუსული, სოკოვანი, ონკოლოგიური, გინეკოლოგიური და სხვა დაავადებებთან მიმართებაში და ასევე არიან შესანიშნავი, იმუნური სისტემის (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთო) გამაძლიერებლები  და მათი ფართო გამოყენება პროფილაქტიკის მიზნითაც მეტად მნიშვნელოვანია.

*პრეპარატი „კამელინი“ მართლაც რომ შესანიშნავი ბუნებრივი წარმოშობის იმუნომოდულატორია, მრავალი წარმატებული კვლევების გარდა, საქართველოში დამწვრობის ცენტრში ჩატარებულმა კლინიკურმა კვლევებმაც დაადასტურა. დამწვრობის ცენტრში აკადემიკოს ბესიკ იაშვილის ხელმძღვანელობით „კამელინზე“ ჩატარდა 100 პაციენტზე (აქედან 80 პაციენტი მკურნალობის კურსს იტარებდა „კამელინთნ“ ერთად, დანარჩენი 20 კი იყო საკონტროლო ჯგუფი, ანუ მკურნალობდნენ მხოლოდ ტრადიციული პრეპარატებით). საინტერესო აღმოჩნდა „კამელინის“ იმუნური, ანტიოქსიდანტური თვისებები სხვადასხვა ხარისხის დამწვრობის მქონე პაციენტებში. დამწვრობის მოქმედება იმუნურ სისტემაზე და „კამელინის“ ეფექტურობა დამწვრობით გამოწვეულ დაავადებებზე იმუნური თვალსაზრისით შეისწავლა სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის იმუნორეაბილიტაციის განყოფილების გამგემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ბორის კორსანტიამ.*

**— ბატონო ბორის, თქვენ მონაწილეობდით დამწვრობის ცენტრში „კამელინზე“ ჩატარებულ კლინიკურ კვლევაში, კერძოდ....**

— სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში ხდება არამარტო ახალი სამკურნალო პრეპარატე-

ძის დიაგნოზი. ჩაუტარდა ოპერაცია, მაგრამ 3 თვის შემდეგ მდგომარეობა გაუარესდა. მოხდა სიმსივნის რეციდივი, ჩაუტარდა ქიმიოთერაპია. სწორედ ამ დროს ავადმყოფმა დაიწყო „კამელინით“მკურნალობაც, მე-2 კურსის ჩატარების შემდეგ რენტგენოგრაფიით აღმოჩნდა, რომ სიმსივნე ზომაში საგრძნობლად დაპატარავდა, ხოლო სიმსივნური კვანძების უმეტესობა გაქრა, მე-3 კურსის შემდეგ კი სიმსივნე აღარ ისინჯებოდა. დღეს აღნიშნული პაციენტი შრომისუნარიანი და ჯანმრთელია.

**პაციენტი ლ.ძ:** — საშვილოსნოს ყელის წყლულით, 15 წლის განმავლობაში მკურნალობდა სხვადასხვა მედიკამენტებით, რის გამოც განუვითარდა მედიკამენტოზური ინტოქსიკაცია. 6 თვის განმავლობაში იმკურნალა „კამელინით“. ინტოქსიკაციური სიმპტომები მალევე მოეხსნა, ამიტომ გადაწყვიტა მკურნალობის გაგრძელება. გინეკოლოგთან გამოკვლევებით აღმოჩნდა, რომ წყლული შეხორცდა. პაციენტი დღეს სრულიად ჯანმრთელია.

**სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება, დაავადების დადებითი მიმდინარეობა, ტკივილების შემცირება ან სრული გაქრობა, აგზნებადობისა და დეპრესიის შემცირება — ეს ის შედეგებია, რომლებიც „კამელინით“ მკურნალობით მრავალ შემთხვევაში მიიღწევა.**

კომპანია „კამელინის“ პრესსამსახური აწარმოებს მონიტორინგს **(ცხელი ხაზი: 73-09-40)** იმ პაციენტებზე, რომლებიც მკურნალობდნენ პრეპარატ „კამელინით“ და მოგაწვდით ინფორმაციებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

***მოამზადა მაია ცომაია***

**„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: 98-57-78; 93-20-87; 98-62-25 (ოფისი); 45-33-68; 22-26-68; 75-04-08; 899-33-10-89; 877-73-56-51, 899-23-03-33;**



Copyright © CAMELYN Ltd. 2011